



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია შოთა მესხიას
ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს # 22 დადგენილებით
„ 24 „ „ აპრილი „ 2018 წელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

ფილამწყოზი
07304

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ზუგდიდი, ჯანაშიას 14

ტელეფონი: 0 415 25 62 17

ვებ გვერდი: zssu.ge

ზუგდიდი
2018 წელი

I. სახელწოდება: ფილამწობი

II. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: 07304-პ

III. პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მესამე

IV. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ფილამწობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

V. საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ფილამწობის პროფესიული სტანდარტი

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა : საბაზო განათლება

VII. „მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.“

VII. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სამშენებლო კომპანიაში, ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციაში, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა ზედაპირების ფილებით მოპირკეთებას. შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული.

VIII. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მისცეს პირს შესაძლებლობა დაეუფლოს ფილამწობის სპეციალობისათვის საჭირო ცოდნას, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და კომპეტენციები. შეძლოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. იყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი.

IX. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- გარემოს ორგანიზება სამუშაოების საწარმოებლად
- კედლის და იატაკის ზედაპირების მომზადება ფილებით მოსაპირკეთებლად
- ფილის დამუშავება
- ზედაპირის მოპირკეთება ფილებით და მოზაიკით

X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

მოცულობა:

ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 68 კრედიტი
 არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 83 კრედიტი-
 დანართი 4- ქართული ენა A1-15 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 12 სასწავლო თვე-48 კვირა
 არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 15 სასწავლო თვე-60 კვირა

XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები :

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
1.ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	8.გაცნობითი პრაქტიკა-ფილამწეობი	2		
2.რაოდენობრივი წიგნიერება	2	9.საწარმოო პრაქტიკა-ფილამწეობი	8		
3.ინფორმაციული წიგნიერება 1	3	10.პრაქტიკული პროექტი-ფილამწეობი	5		
4.მეწარმეობა 1	2	11.შრომის დაცვა და უსაფრთხოების ტექნიკა ფილამწეობისთვის	1		
5. ინგლისური ენა	4	12.სამშენებლო ნახაზების წაკითხვა და გაანგარიშება ფილამწეობისთვის	5		
6. სამოქალაქო განათლება	2	13.ზედაპირის ფილებით მოპირკეთებისათვის საჭირო მასალები და ნაზავების მომზადება	5		
		14.ფილის დამუშავება	4		

		15.კედლის მომზადება ფილებით მოპირკეთებისათვის	6		
		16.კედლის მოპირკეთება ფილებით	5		
		17.იატაკის მოზადება ფილებით მოპირკეთებისათვის	4		
		18.იატაკის ზედაპირის მოპირკეთება ფილებით	4		
		19.ზედაპირის მოპირკეთება მოზაიკური ფილებით	3		
სულ:	16	სულ:	52		

XII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები.

XIV. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-13 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი 1 - სასწავლო გეგმა 1 და სასწავლო გეგმა 2

დანართი 2 – პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

დანართი 3-X - მოდულები

დანართი N4-ქართული ენის მოდული